ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N10

2023 წლის 25 იანვარი
ქ. ამბროლაური

ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ დირექტორის 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

ანგარიში

ა(ა)ი.პ. ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის

მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2022 წლის პირველ ნახევარში სწავლა დაივიწყეთ წესდებით გათვალისწინებული სამუშაო გეგმის შესაბამისად, თუმცა მაქსიმალური სიფრთხილით მოვეკიდეთ პოსტ პანდემიურ პერიოდს და კონკრეტული რეგულაციის მოხსნის ბოლომდე სრულად ვიცავდით დაწესებულ რეგულაციებს, რამაც თავისი წილი უარყოფითი როლი მაინც ითამაშა მოსწავლეთა რეგულარული რაოდენობისა და სამუშაოების წარმართვის პროცესზე.

გერმანული ენის შემსწავლელმა წრემ მუშაობა განაახლა მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან. წრის წევრები სხვადასხვა სკოლებისა და კლასების მოსწავლეები არიან, მაგრამ მათ აერთიანეთ გერმანული ენის შესწავლის ინტერესი. ენის შესწავლისას პედაგოგი ითვალისწინებს უცხოური ენის სტანდარტებს, სწავლის მიმართულებაებს და მათ შორის: მოსმენა, ლაპარალი, კითხვა,წერა, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი. განსაკუთრებული ყურადღება გადადის პირველ ოთხ მიმართულებაზე, რომელიც უცხოურ ენაზე სამეტყველო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ემსახურება.მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ და გრძელდება 40-45 წუთის განმავლობაში. ამას გაერდა მეცადინეობაში ჩართულია სხვა დამატებითი, საინტერესო მასალა გერმანელი ხალხის ისტორიის, ტრადიციების, კულტურისა და თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

ანალოგიური მიდგომებით მუშაობს ინგლისური ენის შემსწავლელი წრეც, ბავშვების ლოკაციური განლაგება სხვადასხვა სკოლებსა და კლასებს წარმოადგენს, ამ თვალსაზრისით, თითქმის ყველა წრის მუშაობა მსგავსია. შესაძლებლობის ფარგლებში აქტიური იყო რუსული ენის შემსწავლელი წრეც, თუმცა როგორც ზემოთ ავღნიშნე, მოსწავლეთა რაოდენობის ცვალებადობა გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა ყველა წრის ხელმძღვანელის სამუშაო პროცესში.

თებერვლის თვიდან განახლდა მუშაობა მათემატიკის შემსწავლელ წრეში, მოსწავლეებს მუშაობა უტარდებათ კვირაში ორჯერ, ბავშვები დაყოფილი არიან ჯგუფებად, თითოეული ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს 60 წუთის ფარგლებში.

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში განაახლა მუშაობა ,,ზოგადი უნარების" შემსწავლელი წრის ჯგუფმა, სადაც ასევე გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასაკისა და სკოლის მოსწავლეები. მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ. ბავშვები დაყოფილი არიან ჯგუფებად ასაკის და უნარების მიხედვით. ,, ზოგადი უნარების" წრე მრავალნაირი ტიპის ამოცანებისა და სავარჯიშოების გამოყენებით მოსწავლეებს უნვითარებს ყურადღების, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, სინთეზისა და ინფორმაციის აღქმის და გადამუშავების უნარს.

თებერვლის თვიდან შეუდგა მუშაობას ,,გახანგრძლივებული" წრის ორი ჯგუფი, რომელიც მუშაობდა შესაბამისი სასწავლო გეგმის მიხედვით, თუმცა ყველაზე მეტად შეეხოთ მოსწავლეთა რაოდენობის ცვალებადობის ძალზე რთული პროცესი.

წარმატებით ჩაიარა კულტურულ-შემეცნებითმა ღონისძიებებმა: ,,მოაზროვნე", ,,ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას", ,,ძველი დიდების ნაკვალევზე" და 2021 წლის ,, რა სამშობლო გვქონია" - პანდემიის გამო შეჩერებულმა პრეზენტაციამ.

კონკურსი ,,მოაზროვნე" ჩატარდა 7 მარტს. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მესამე საფეხურის 100-მდე მოსწავლემ. 5 მაისს გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები:

I ადგილი - ლიზი ჭელიძე

II ადგილი - სანდრო თომაძე

III ადგილი - სალომე გელაშვილი და ელენი ხუციძე

საინტერესო ნამუშევრებისთვის სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ კონკურსის მონაწილეებს: გვანცა გოგსაძე, მარიამ ჯაფარიძე, ბაქარ ჭელიძე, მარიამ თომაძე, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, ელენე გველეთიანი, ნანუკა აბუთიძე და ანა ხუციძე.

მაისის თვეში ,,ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას" ფარგლებში, გაიმართა მწერალ გივი ჩიღვინაძის შემოქმედებითი საღამო.

ივნისის თვეში პროექტის ..ძველი დიდების ნაკვალევზე" ფარგლებში ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა თურქეთში იმოგზაურეს

შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა ოთხი დღის განმავლობაში მოიარეს

•ისტორიული ქალაქი ტრაბზონი

•ალტინდერეს ეროვნული პარკი

•სუმელას სამონასტრო კომპლექსი

•მცირე აია- სოფია

•ბოზტეფეს გორაკი

•ათათურქის პავილიონი

•უზუნგოლის ტბა

თებერვლის თვეში შეირჩა ლიტერატურა ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის ,,მწიგნობარი-2022"-სთვის, მარტის თვეში ლიტერატურა გახდა საჯარო და დაიწყო ახალგაზრდების დაინტერესება საჭირო ლიტერატურით, რა დროსაც გამოირკვა, რომ შერჩეული ლიტერატურის უმეტესობა არ იყო ჩვენი ბიბლიოთეკების წიგნებისს ფონდში. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მიმართვის შედეგად, მყისიერად მოხდა საჭირო ლიტერატურის შეძენა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლება. ასევე წიგნების გარკვეული რაოდენობა საჩუგრად გადმოგვცა საქველმოქმედო ორგანიზაციამ ,,მთიელი წიგნები", რომელიც ჩვენი მხრიდან გადაეცა საბავშვო ბიბლიოთეკას.

5 ივლის საქველმოქმედო ორგანიზაციამ ,,მთიელი წიგნები'', ამბროლაურის მოსწავლე-ახლაგაზრდობის ცენტრს, ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსისათვის, საჭირო მხატვრული ლიტერატურა საჩუქრად

გადასცა, რომელიც გადავეცით ამბროლაურის ზურაბ ჯაფარიძის სახელობის, საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდს.

აგვისტოს თვეში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ჰუმანიტარულ ღონისძიებათა მენეჯერს, ფიქრია ცხვედიანს საჩუქრად გადაეცა პერსონალური ნოუთბუქი, რამაც ძალიან გაგვახარა..

აგვისტოს თვეში ამბოლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა პროექტის „რა სამშობლო გვქონია" ფარგლებში, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის მხარეში იმოგზაურეს, სადაც მოინახულეს შემდეგი ადგილები: კურორტი საირმე ,ზეკარის უღელტეხილი,დაბა აბასთუმანი - რომანოვების სასახლე, დედათა მონასტერი და წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესია, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ბაკურიანი,ბორჯომი - ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მიზეუმი.

ოქტომბრის თვიდან ამბროლურის მოსწავლე–ახალგაზრდობის ცენტრში მუშაობა განაახლეს შემდეგმა წრეებმა:

1. ზოგადი უნარების წრე
2. მათემატიკის წრე
3. ინგლისური ენის წრე
4. გერმანული ენის წრე
5. რუსული ენის წრე
6. გახანგრძლივებული დღის ჯგუფი

5 ოქტომბერს. ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოწვევით დაინტერესებულ პირებთან ერთად ვისაუბრეთ. ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტელატურული კონკურსის შესახებ, შეხვედრაზე ერთად განვიხილეთ 2023 წლის კონკურსის პრიორიტეტები და პროექტის დებულება. შეხვედრის შედეგად, ასევე შეიცვალა კონკურსის ჩატარების თარიღი, 21, 22 და 23 ოქტომბრის ნაცვლად, ''მწიგნობარი 2022'', გაიმართა- 28, 29 და 30 ოქტომბერს.

28 ოქტომბერს კონკურს ,,მწიგნობარი" -ის პირველ დღეს მოხდა მონაწილე ბავშვების რეგისტრაცია და ჩატარდა კონკურსი შემდეგ ნომინაციებში: ისტორიული რომანი, XIX-XX საუკუნის მწერლობა, თანამედროვე მწერლობა, პოეზია უპირველეს ყოვლისა.

29 ოქტომბერს გაიმართა კონკურს ,,მწიგნობარი"-ს შემდეგი ნომინაციები: საბავშვო მწერლობა, პუბლიცისტიკა და ესე, ლიტერატურული შედევრები, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები.

30 ოქტომბერს კონკურსი ჩატარდა შემდეგ ნომინაციებში: ,,ცეფხისტყაოსანი" , დრამატურგია, თავისუფალი თემა.

30 ოქტომბერი იყო კონკურსის დასკვნითი დღე და გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ დავით თორაძის სახელობის

მუსიკალური სასწავლებლის ბავშვები და ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი.

კონკურს ,,მწიგნობარი-2022" -ის გამარჯვებულები ნომინაციების მიხედვით არიან:

ისტორიული რომანი

I ადგილი - შოთა ჭელიძე (ბუგეულის საჯარო სკოლა)

II ადგილი - სალომე ჩარკვიანი (ბუგეულის საჯარო სკოლა)

ლიტერატურული შედევრები

I ადგილი - ნინო ლაიშვილი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

II ადგილი - ლექსო მუსელიანი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

XIX- XX სს-ის მწერლობა

I ადგილი - მარიამ თომაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

II ადგილი - ოთო ლუხუტაშვილი (ჭრებალოს საჯარო სკოლა)

თანამედროვე ლიტერატურა

I ადგილი - მარიამ კერესელიძე (სადმელის საჯარო სკოლა)

II ადგილი - ოთო ლუხუტაშვილი (ჭრებალოს საჯარო სკოლა)

პუბლიცისტიკა და ესე

I ადგილი - თამარ მუსერიძე (ბუგეულის საჯარო სკოლა)

II ადგილი - მარიამ თომაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

საბავშვო მწერლობა

I ადგილი - მარიამ გორდეზიანი (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

I ადგილი - ხატია ფრუიძე (ხვანჭკარის საჯარო სკოლა)

I ადგილი - ლილე სანთელაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები

I ადგილი - ოთარ დონაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

II ადგილი - სალომე ჩარკვიანი (ბუგეულის საჯარო სკოლა)

დრამატურგია

I ადგილი - ელენე ჭოხონელიძე (თბილისი)

II ადგილი - ერეკლე ჯოხაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

,,პოეზია უპირველეს ყოვლისა"

I ადგილი - ქეთი კაციტაძე (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

II ადგილი - გვანცა გველეთიანი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

ამავე ნომინაციაში. ჟიურის რჩეული - ანა ბათხაძე (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

თავისუფალი თემა

I ადგილი - ელენე გველეთიანი (ამბროლაურის II საჯარო სკოლა)

II ადგილი- ანა ონიანი (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

,,ვეფხისტყაოსანი"

I ადგილი - ლუკა ქვათაძე (ამბროლაურის I საჯარო სკოლა)

II მარიამ ვახტანგაძე (ბუგეულის საჯარო სკოლა)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონკურსისათვის შერჩეული ლიტერატურიდან, არცერთი წიგნი არ იყო ამბროლაურის საბიბლიოთეკო სივრცეში, რის გამოც იძულებული გავხდით თხოვნით მიგვემართა მუნიციპალიტეტის მერისათვის, რასაც მოჰყვა მყისიერი რეაგირება და საბიბლიოთეკო სივრცეს შეემატა ახალი ლიტერატურა.

ასევე აღსანიშნავია,ის ფაქტი, რომ მოსწავლე- ახალგაზრდობის ცენტრმა, ურთიერთობა

დაიწყო ორგანიზაცია „მთიელი წიგნები“, რომელთა მხრიდანაც მოხდა კონკურსისაითვის საჭირო ლიტერატურის საბავშვო ბიბლიოთეკისათვის საჩუქრად გადაცემა. ასევე მათ მიერ დაჯილდოვდა კონკურსის ყველა მონაწილე და საკონცერტო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების უმრავლესობა. მთლიანობაში“მთიელი წიგნების“ მხრიდან ახალგაზრდობასადა საბიბლიოთეკო სივრცეში დარიგდა 300-ზე მეტი კლასიკური ლიტერატურის შედევრები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის, სპეციალური სიგელითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა, გურამ ფანჯიკიძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ქალბატონი, ნინო ენუქიძე, რომელიც 17 წლის მანძილზე თავჯდომარეობდა კონკურსის კვალიფიციურ ჟიურის.

გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები, ფულადი და ფასიანი საჩუქრები, დაენიშნათ სტიბენდიები.

27 დეკემბერს გახანგრძლივებული დღის წრის პედაგოგების ინიციატივით ჩატარდა საბავშვო გასართობი საახალწლო ღონისძიება.

28 დეკემბერს. პროექტს „რა სამშობლო მქონია“ პრეზენტაცია გაიმართა ამბროლაურის N1 საჯარო სკოლაში.

ცენტრის შემეცნებითი ჯგუფის წევრებმა, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის მხარეში იმოგზაურეს. ტურის ფარგლებში მოიარეს:

კურორტი საირმე

ზეკარის უღელტეხილი

დაბა აბასთუმანი - რომანოვების სასახლე. დედათა მონასტერი და

წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესია

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

ბაკურიანი

ბორჯომი - ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მიზეუმი

ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდული ცენტრის

დირექტორი: /გ. გორდეზიანი/

AMBROLAURI PUPILS AND YOUTH CENTER

ამბროლაურის მოსწავლე–ახალგაზრდობის ცენტრის 2022 წლის ფინანსური ანგარიში .

სუბსიდია სულ 188684.27ლარი.

დასახელება	თვეების რაოდენობა	ხარჯი/ლარი/
ხელფასი	12	127748
შტატგარეშე ხელფასი	12	27000
სულ	12	154748
სილქნეტი/ჯეოსელი	12	1171.12
ელ.ენერგია	12	682.03
წყალი	12	232.89
საკანცელარიო ხარჯი	12	268
სამეურნეო და სანიტარული საქონლის შეძენის ხარჯი	12	410.70
ოფისის ხარჯი სულ	12	2764.74
სხვა დანაჩენი საქონელი და მომსახურება/კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები	12	31171.53

საკუთარი სახსრები სულ 1144.60

სანიტარული და სამეურნეო საქონლის შეძენის ხარჯი	12	1144.60

მოსწავლე–ახალგაზრდობის ცენრის დირექტორი: /გ.გორდეზიანი/

ბუღალტერი: /თ.ენუქიძე/